SilkHome აპლიკაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის განაცხადი

ეს განაცხადი („განაცხადი“) განმარტავს, თუ როგორ მუშავდება თქვენი პერსონალური მონაცემები, თუ თქვენ სარგებლობთ Silk Home აპლიკაციით (შემდგომში „აპლიკაცია“) და ამ აპლიკაციის მეშვეობით შემოთავაზებული სერვისებით (შემდგომში „*პროდუქტები*“).

გთხოვთ, სანამ გამოიყენებთ *აპლიკაციასა* და *პროდუქტებს,* ყურადღებით წაიკითხოთ ეს განაცხადი.

როდესაც რეგისტრირდებით *აპლიკაციაში,* ეთანხმებით ამ *განაცხადის,* ან იწყებთ *პროდუქტებით* სარგებლობას, მიიჩნევა, რომ სრულად გაეცანით და ეთანხმებით ამ *განაცხადის* პირობებს.

ეს *განაცხადი* შეიძლება პერიოდულად განახლდეს. *განაცხადის* პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის შემთხვევაში ინფორმაციას გაცნობებთ ელ-ფოსტით ან აპლიკაციის გზით.

<u>განმარტებები</u>

პერსონალური მონაცემ(ებ)ი - ინფორმაცია, რომელიც გენერირდება, გროვდება ან ინახება ელექტრონული ან სხვა ფორმით და იძლევა ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას, პირდაპირ ან სხვა ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც ვამუშავებთ ამ პიროვნების შესახებ.

სენსიტიური პერსონალური მონაცემები - მონაცემი, რომელიც შეიცავს ბიომეტრიული ინფორმაციას პირის შესახებ, კომუნიკაციის ჩანაწერები და შინაარსი, ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია, ტრანზაქციის თაობაზე ინფორმაცია, ზუსტი ლოკაციის თაობაზე ინფორმაცია. თუ მუშავდება თქვენი სენსიტიური პერსონალური მონაცემები, ასეთი ინფორმაციის დამუშავებამდე აუცილებლად მიიღებთ ნათელ შეტყობინებას თქვენი თანხმობის მოპოვების მიზნით.

ჭკვიანი მოწყობილობა - მოწყობილობა, რომელიც აღჭურვილია ადამიანისა და მანქანის ინტერფეისით (human-machine interface), აქვს მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობა და უსადენოდ უკავშირდება ქსელს. ასეთ მოწყობილობებს მიეკუთვნება: ჭკვიანი კამერები, ჭკვიანი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ჭკვიანი ტარებადი მოწყობილობები, ჭკვიანი ჰაერის გამწმენდი მოწყობილობები და სხვა.

აპლიკაცია - მობილური აპლიკაცია, რომელიც შემუშავებულია სს სილქნეტის მიერ და რომელიც საბოლოო მომხმარებლებს აძლევს *ჭკვიანი მოწყობილობების* დისტანციურად მართვის შესაძლებლობას და საშუალებას აძლევს, დაუკავშირდნენ მომწოდებლის IoT პლატფორმას.

რა პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს Silk Home-ით სარგებლობის შემთხვევაში?

იმისთვის, რათა ისარგებლოთ *პროდუქტებით,* აუცილებელია თქვენი ზოგიერთი პერსონალური მონაცემის დამუშავება. ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების გარეშე შესაძლოა საერთოდ ვერ ისარგებლოთ ჩვენი *პროდუქტებითა* და სერვისებით.

1. **ინფორმაცია, რომელსაც ნებაყოფლობით გვიზიარებთ**

დარეგისტრირებული ანგარიშის მონაცემები:
როდესაც ქმნით ანგარიშს აპლიკაციაში, მუშავდება თქვენი სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია, მაგ: ელ. ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მომხმარებლის სახელი და ანგარიშზე შესვლისთვის საჭირო სხვა მონაცემები. პროდუქტის გამოყენების პროცესში, შესაძლოა ასევე დამუშავდეს თქვენი ზედმეტსახელი (nickname), პროფილის სურათი, ქვეყნის კოდი, არჩეული ენის შესახებ ინფორმაცია, ან დროის სარტყელის შესახებ ინფორმაცია.

თუ ავტორიზაციას ახორციელებთ მესამე მხარესთან შექმნილი (მაგ: Google ან Apple) ანგარიშის მეშვეობით, ეს პირები გაგვიზიარებენ თქვენი ანგარიშის ინფორმაციას (მაგ., სურათი, ზედმეტსახელი, რეგიონი, სქესი და სხვ.), რათა შეძლოთ *აპლიკაციის* ანგარიშზე დროულად შესვლა. ჩვენ უზრუნველვყოფთ ამ მონაცემთა დაცვას შესაბამისი კანონების, რეგულაციების, ასევე შესაბამისი მესამე მხარის პოლიტიკების, შეთანხმებებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად.

არარეგისტრირებული ანგარიში:
თუ გსურთ *აპლიკაციის* გამოყენება ანგარიშის შექმნის გარეშე, შეგიძლიათ *აპლიკაცია* გამოიყენოთ საცდელ რეჟიმში. ამ რეჟიმის ფარგლებში თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ გარკვეული სერვისებით, როგორიცაა ძიება და *აპლიკაციის* ფუნქციების დათვალიერება სტუმრის ID-ის გამოყენებით. ამ რეჟიმში დამუშავდება მხოლოდ შემდეგი ინფორმაცია: *აპლიკაციაში* შესვლის დრო, თქვენი მობილური ტელეფონის საოპერაციო სისტემის შესახებ ინფორმაცია და ის მონაცემები, რომელთა დამუშავებაც აუცილებელია თქვენ მიერ გააქტიურებული ფუნქციონალის გამოყენების მიზნით, მაგ: თუ თქვენ საცდელ რეჟიმში გააააქტიურებთ ადგილ-მდებარეობის ფუნქციონალს, დამუშავდება მონაცემები თქვენი ადგილ-მდებარეობის შესახებ. როგორც კი გახვალთ ამ რეჟიმიდან, მონაცემები დაუყოვნებლივ და სამუდამოდ წაიშლება.

თუ *სერვისები,* რომელთა გამოყენებაც გინდათ, მოითხოვს ანგარიშის ქონას, დაუბრუნდით რეგისტრაციის/ანგარიშზე შესვლის გვერდს შემდეგი ნაბიჯებისათვის.

უკუკავშირი: ჩვენს *პროდუქტებში* უკუკავშირის ფუნქციის გამოყენებისას, შესაძლოა დამუშავდეს თქვენი ელფოსტა, მობილურის ნომერი და უკუკავშირის შინაარსი, რათა დროულად მოვაგვაროთ თქვენ მიერ დაფიქსირებული/გაზიარებული პრობლემები ან სხვაგვარად გავაუმჯობესოთ ჩვენი პროდუქტები.

დამატებითი ფუნქციების საფუძველზე დამუშავებული ინფორმაცია:

იმისათვის, რათა შემოგთავაზოთ გაუმჯობესებული, უფრო მოსახერხებელი და ხარისხიანი მომსახურება, თქვენი თანხმობის საფუძველზე თქვენ მიერ სხვადასხვა დამატებითი ფუნქციონალის გამოყენების დროს შესაძლოა დამუშავდეს ქვემოთ მითითებული მონაცემები. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ ამ მონაცემების დამუშავებაზე თანხმობას არ განაცხადებთ, თქვენ მაინც შეძლებთ *აპლიკაციითა* და ძირითადი *პროდუქტებით* სარგებლობას, ასევე ჭკვიანი მოწყობილობების გამოყენებას, თუმცა დამატებით ფუნქციონალზე წვდომა გექნებათ შეზღუდული. დამატებითი ფუნქციები მოიცავს შემდეგს:

1. **ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული ფუნქციები:**

   თუ თქვენს მობილურ მოწყობილობაში გააააქტიურებთ თქვენს ადგილმდებარეობაზე დაფუძნებულ ფუნქციებს, *აპლიკაცია* შეძლებს შემოგთავაზოთ ადგილმდებარეობის მიხედვით მორგებული სერვისები — ჭკვიანი მოწყობილობასთან ავტომატურად დაკავშირება, ამინდის სერვისი და სხვა.

ასეთ დროს შესაძლოა დამუშავდეს თქვენი ზუსტი ადგილ-მდებარეობა, მაგ., თუ იყენებთ ისეთ ავტომატიზაციის სერვისებს სხვადასხვა ჭკვიანი მოწყობილობის მართვის მიზნით, ან მიახლოებითი ადგილ-მდებარეობა, როდესაც იყენებთ ზოგიერთ ჭკვიან მოწყობილობას, როგორიცაა რობოტი-მწმენდავი, ამინდის სერვისი და სხვა.

თუ ჩართავთ Geo-Fence ს ფუნქციას, მდებარეობის თაობაზე ინფორმაცია გადაეცემა Google Maps-ს. Google უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა დაცვას მისივე პოლიტიკების თანახმად (იხილეთ Google-ის Data Processing and Security Terms). ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: **„ჩემი > პარამეტრები > კონფიდენციალურობის პარამეტრები > მდებარეობის ინფორმაციის ჩართვა/გამორთვა“**.

2. **კამერაზე დაფუძნებული დამატებითი სერვისები:**
ჭკვიან მოწყობილობასთან დასაკავშირებლად კამერა გამოიყენება QR კოდის სკანირების მიზნით, რა დროსაც თქვენ თანხმობას აცხადებთ კამერის მონაცემების დამუშავებაზე. ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: **„ჩემი > პარამეტრები > კონფიდენციალურობის პარამეტრები > კამერის ჩართვა/გამორთვა“**.

3. **ფოტო/ვიდეო ბიბლიოთეკაზე წვდომაზე დამყარებული დამატებითი სერვისები:**
ფოტო ან ვიდეო ფაილებზე წვდომა საჭიროა მაშინ, როცა თავად გსურთ განათავსოთ თქვენი ავატარი, ან გაგვიზიაროთ მასალა - ხარვეზის არსებობისას მტკიცებულების დამადასტურებლად, ან სხვ. ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: *მართვა: ჩემი > პარამეტრები > კონფიდენციალურობის პარამეტრები > ფოტოალბომის ჩართვა/გამორთვა.*

4. **მიკროფონზე დაფუძნებული დამატებითი სერვისები:**
თუ გსურთ გამოიყენოთ ხმოვანი ასისტენტი, ან ჩაწეროთ ვიდეო *აპლიკაციიდან,* საჭირო იქნება მიკროფონის გააქტიურება. თქვენი ხმა დამუშავდება მხოლოდ მაშინ, როცა თავად ჩართავთ ხმოვან ფუნქციას. ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: **„ჩემი > პარამეტრები > კონფიდენციალურობის პარამეტრები > მიკროფონის ჩართვა/გამორთვა“.**

5. **მოწყობილობის მეხსიერების ნებართვაზე დაფუძნებული დამატებითი სერვისები (Android):**
მეხსიერების ფუნქციის გააქტიურება სასურველია აპლიკაციის სტაბილურად ფუნქციონირებისა და პრობლემის ინდეტიფიცირებისთვის. თანხმობის შემთხვევაში, აპლიკაციას ექნება წვდომა გარკვეულ მონაცემებზე, როგორიცაა სურათები, ფაი,ები, შეცდომის ლოგები და ა.შ.
ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: **„ჩემი > პარამეტრები > კონფიდენციალურობის პარამეტრები > მეხსიერების ჩართვა/გამორთვა“**.

6. **შეტყობინებების ნებართვაზე დაფუძნებული დამატებითი სერვისები:**
ამ ფუნქციის გააქტიურების შემთხვევაში თქვენ მიიღებთ შეტყობინებებს ჭკვიანი მოწყობილობის ან სერვისების გამოყენების შესახებ, განსაკუთრებით უსაფრთხოების სერვისების შემენისას.
ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: **„ჩემი > შეტყობინებების ცენტრი > პარამეტრები > შეტყობინებების ჩართვა/გამორთვა“**.

7. **Alert Window ნებართვაზე დაფუძნებული დამატებითი სერვისები:**
ამ ფუნქციის გააქტიურებით, საშუალება გეძლევათ, *აპლიკაციაში* პირდაპირ ნახოთ კამერის მეშვეობით დაფიქსირებული სურათი ცალკე ფანჯარაში.
ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: **„ჩემი > პარამეტრები > კონფიდენციალურობის პარამეტრები > Alert Window ჩართვა/გამორთვა“**.

8. **Bluetooth ნებართვაზე დაფუძნებული დამატებითი სერვისები:**
ამ ფუქნციის გააქტიურების შემთხვევაში შეგიძლიათ მართოთ, აღმოაჩინოთ და დააკავშიროთ

ჭკვიანი მოწყობილობები Bluetooth-ით. ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: **„ჩემი > პარამეტრები > კონფიდენციალურობის პარამეტრები > Bluetooth ჩართვა/გამორთვა“**.

9. **HomeKit (iOS) ნებართვაზე დაფუძნებული დამატებითი სერვისები:** ამ ფუნქციის გააქტიურებით, შეგიძლიათ აღმოაჩნიოთ სხვა ჭკვიანი მოჭყობილობები, დააკავშიროთ ისინი ქსელთან და მართოთ iOS-ის HomeKit აპის მეშვეობით. გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრულ სცენარებში.
   -ით. ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: **„ჩემი > პარამეტრები > კონფიდენციალურობის პარამეტრები > HomeKit ჩართვა/გამორთვა“**.

10. **HealthKit (iOS) ნებართვაზე დაფუძნებული დამატებითი სერვისები:** ამ ფუქნციის გააქტიურება საშუალებას გაძლევთ გამოიყენოთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფუნქციები, როგორიცაა წონისა და სპორტის სტატისტიკა. მონაცემები გადაეცემა iOS-ის HealthKit-ს მხოლოდ თქვენი თანხმობის შემდეგ.
    -ით. ეს ფუნქცია შეგიძლიათ გამორთოთ შემდეგნაირად: **„ჩემი > პარამეტრები > კონფიდენციალურობის პარამეტრები > HealthKit ჩართვა/გამორთვა“**.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: თუ რომელიმე ფუნქციას გააქტიურებთ, ამით გვაძლევთ უფლებას, ამ ფუნქციების უზრუნველყოფის მიზნით დავამუშაოთ შესაბამისი პერსონალური მონაცემები. ფუნქციის გამორთვა ნიშნავს, რომ ჩვენ შევწყვეტთ შესაბამის მონაცემთა დამუშავებას, თუმცა აღნიშნულს გავლენა არ ექნება შესაბამისი ნებართვის გამორთვამდე შეგროვებულ მონაცემებზე.

2. ინფორმაცია, რომელიც ავტომატურად მუშავდება

• **ინფორმაცია მობილური მოწყობილობის თაობაზე**: როდესაც თქვენ იყენებთ ჩვენს *პროდუქტებს,* მათი ნორმალური ფუნქციონირების, გაუმჯობესებისა და ოპტიმიზაციის მიზნით, ასევე თქვენი ანგარიშის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ავტომატურად მუშავდება შემდეგი ინფორმაცია თქვენი მოწყობილობის შესახებ: მობილური მოწყობილობის მოდელის ნომერი, IP მისამართი, უსადენო კავშირის ინფორმაცია, ოპერაციული სისტემის ტიპი და ვერსია, აპლიკაციის ვერსიის ნომერი, push შეტყობინების იდენტიფიკატორი, ლოგ-ფაილები და მობილური ქსელის ინფორმაცია, თქვენი პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის ნომერი და ინფორმაცია თქვენს მოწყობილობაზე დაინსტალირებული აპლიკაციებისა და სხვა პროგრამების შესახებ.

• **ინფორმაცია მოხმარების თაობაზე**: როდესაც იყენებთ ჩვენს სერვისებს, ავტომატურად მუშავდება მონაცემები მოხმარების შესახებ — მაგალითად, აპლიკაციაში ვიზიტები, დაკლიკებები, ჩამოტვირთვები, გაგზავნილი/მიღებული შეტყობინებები და სხვა აქტივობები მოხმარებასთან დაკავშირები.

• **ლოგ ინფორმაცია**: როდესაც იყენებთ აპლიკაციას, მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად მუშავდება სისტემური მონაცემები, მათ შორის თქვენი IP მისამართი, ენის პარამეტრები, ოპერაციული სისტემის ვერსია, წვდომის თარიღი და დრო, რათა სწორად გამოვავლინოთ პრობლემები და დროულად გადავჭრათ ისინი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მოწყობილობის თაობაზე ინფორმაციის ან ლოგ ინფორმაციის გამოყენებით კონკრეტული პიროვნების იდენტიფიცირება შეუძლებელია. თუმცა, თუ ასეთი ინფორმაციის სხვა ინფორმაციასთან ერთად დამუშავების შედეგად არსებობს კონკრეტული პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობა, ასეთ ინფორმაციას მივიჩნევთ და მოვეპყრობით, როგორც პერსონალურ მონაცემს. ჩვენ ასეთი მონაცემებს დავამუშავებთ მხოლოდ თქვენი თანხმობის ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის

კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოვახდენთ ინფორმაციის დეპერსონალიზაციას.

3. ჭკვიან მოწყობილობებთან (Smart Devices) დაკავშირებული ინფორმაცია

• **ჭკვიანი მოწყობილობების თაობაზე ძირითადი ინფორმაცია**: როდესაც ჭკვიანი მოწყობილობით უკავშირდებით ჩვენს აპლიკაციას, შეიძლება დამუშავდეს მოწყობილობასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: მოწყობილობის სახელი, ID, ონლაინ სტატუსი, აქტივაციის დრო, ვერსია და განახლების თაობაზე ინფორმაცია.

• **მოწყობილობის დაერთების პროცესში შეგროვებული ინფორმაცია**: მოწყობილობის ტიპის მიხედვით, შესაძლოა დამუშავდეს ინფორმაცია, როგორიცაა: Wi-Fi ინფორმაცია, მოწყობილობის MAC-მისამართი და სხვა.

• **მოწყობილობების მიერ გადაცემული ინფორმაცია**: ეს დამოკიდებულია იმ მოწყობილობაზე, რომელსაც უკავშირებთ ჩვენს აპლიკაციას. მაგალითად, თუ თქვენ სარგებლობთ ჭკვიანი კამერით, მომსახურების გაწევის მიზნით დამუშავდება ისეთ მონაცემები, როგორიცაა ჭკვიანი კამერის მიერ დაფიქსირებული გამოსახულება ვიდეო ან გამოსახულება.

პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძველი

თქვენი მონაცემების დამუშავება ხდება შემდეგი მიზნებით:

• **მომსახურების გაწევა:** თქვენი ანგარიშის, მოწყობილობების და მოხმარების შესახებ მონაცემები, ასევე ჭკვიანი მოწყობილობებთან დაკავშირებულ მონაცემები მუშავდება თქვენ მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევის მიზნით. მონაცემების დამუშავების საფუძველია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ან გარიგების დადება;

• **მომსახურების გაუმჯობესება**: მოწყობილობების შესახებ, მოხმარების შესახებ, ასევე ჭკვიანი მოწყობილობებთან დაკავშირებული მონაცემები მუშავდება მომსახურების სათანადო ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების, მათი განვითარების მიზნით, ასევე არამართლზომიერი მოხმარების ან თაღლითობის შემთხვევების გამოვლენის მიზნით. მონაცემების დამუშავების საფუძველია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

• **არა-მარკეტინგული კომუნიკაცია**: თქვენს მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მომსახურების პირობების, განაცხადების, პოლიტიკების ცვლილების ან/და სხვა ადმინისტრაციული საკითხების თაობაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის თქვენთვის მოწოდების, ასევე მომსახურებასთან დაკავშირებული შეტყობინებების გამოგზავნის, მაგალითად, როგორიცაა შეტყობინებები განგაშის თაობაზე. შეტყობინებების გამორთვა შეგიძლიათ აპლიკაციის მეშვეობით: **"Me > Message Center > Setting > Notification Setting".** თუ გამორთავთ „შეტყობინებების“ ფუნქციას, თქვენი მონაცემების ამ მიზნით აღარ დამუშავდება. მონაცემების დამუშავების საფუძველია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

• **მონაცემების ანალიზი**: ეს მონაცემები მუშავდება *პროდუქტების* მოხმარების ანალიზისა და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით. თქვენ შეგიძლიათ გამორთოთ მონაცემების ანალიზის ფუნქცია აპლიკაციის კონფიდენციალურობის პარამეტრებიდან: **"My > Settings > Privacy Settings > Data Analysis".** ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტით სარგებლობისას ადგილი აქვს რაიმე გაუმართაობას, იქიდან

გამომდინარე, თუ რა ფუნქციის გაუმართაობაზეა საუბარი, თქვენ ყოველთვის ვერ შეძლებთ ამ მონაცემების გაზიარებაზე უარის თქმას. ამ მონაცემების დამუშავების საფუძველია თქვენი თანხმობა, ან კომპანიის ლეგიტიმური ინტერესი.

· **მარკეტინგული კომუნიკაცია და პერსონალიზაცია**: <u>თქვენი თანხმობის საფუძველზე</u>, თქვენი ანგარიშის მონაცემები, მოხმარების სტატისტიკა და მოწყობილობასთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაძლოა დამუშავდეს პერსონალიზებული რეკლამებისა და მომსახურების მიწოდების მიზნით. პერსონალური შეტყობინებების ჩასართავად ან გამოსართავად შეგიძლიათ შეხვიდეთ აპლიკაციის შემდეგ გვერდზე: "Me> Settings > Privacy Settings > Personalization"). თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველია თქვენი თანხმობა.

ასევე, თქვენი მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს, თუ ეს აუცილებელია:

- სამართლებრივი ვალდებულების ან კანონის მოთხოვნის შესრულების მიზნით;
- თქვენთან არსებული ნებისმიერი შეთანხმების, გარიგების, სხვა განაცხადის აღსრულების, მათ შორის მათი პოტენციური დარღვევის გამოძიების მიზნით;
- ჩვენი, მომხმარებლების, მესამე მხარის ან სჯარო უფლებების, ქონების ან უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თუ ამას მოითხოვს, ან ამის უფლებას იძლევა შესაბამისი კანონმდებლობა;
- უსაფრთხოების, თაღლითობისა და ტექნიკური პრობლემების გამოვლენისა და პრევენციისთვის.

თუ შეიცვალა პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი, ამის თაობაზე ინფორმაციას მიიღებთ ელ. ფოსტით და/ან ვებსაიტზე განთავსებული თვალსაჩინო შეტყობინებით.

პერსონალური მონაცემების გაზიარება

ჩვენ პერსონალურ მონაცემებს ვაზიარებთ მხოლოდ ამ პოლიტიკით განსაზღვრულ შემთხვევებში. თქვენი პერსონალური მონაცემები შესაძლოა გავუზიაროთ შემდეგ პირებს და მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში:

- უფლებამოსილ პირებს/(ქვე)კონტრაქტორებს, რომლებიც პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ დავალების საფუძველზე, სხვადასხვა სახის მომსახურების ან სერვისის უზრუნველყოფის მიზნით, მაგალითად როგორიცაა გადახდის დამუშავება, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, IT სერვისები, მომხმარებელთა მხარდაჭერა, ელფოსტის გაგზავნის სერვისები და სხვა მსგავსი სერვისები. არცერთი ქვეკონტრაქტორი არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს მონაცემები სხვა მიზნით, გარდა შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და/ან გაამჟღავნოს მისთვის ხელმისაწვდომი მონაცემები. (ქვე)კონტრაქტორების მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ მონაცემების დამუშავება განხორციელდეს სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში, მათ შორის წინამდებარე განაცხადით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

  აპლიკაციისა და *პროდუქტების/*სერვისების მოწოდების მიზნით შესაძლოა თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ მონაცემების სათანადო დონეზე დაცვა მოხდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებით, მაგ: მონაცემთა გადაცემა მოხდება ისეთ ქვეყანაში, რომელსაც აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

  ჩვენი ქვე-კონტრაქტორი, TUYA GmbH, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებას *აპლიკაციით* გათვალისწინებული სერვისებისა და *პროდუქტების* მოწოდების მიზნით,

დაფუძნებულია გერმანიაში. ეს ქვეყანა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყანას წარმოადგენს. შესაბამისად, Tuya GmbH თქვენს პერსონალურ მონაცემებს ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციასთან (GDPR) შესაბამისად ამუშავებს და გავლილი აქვს სათანადო სერთიფიკაცია.

- შესაბამის პირს ჩვენი კომპანიის რეორგანიზაციის, შერწყმის, გაყიდვის, ერთობლივი საწარმოს, გადაცემის ან სხვა ტრანზაქციის შემთხვევაში, რომელიც შეეხება ჩვენს ბიზნესს, აქტივებს ან აქციებს (მათ შორის, გაკოტრების ან მსგავსი პროცესების დროს). ასეთ შემთხვევაში, გაცნობებთ ელფოსტით ან ვებსაიტზე გამოქვეყნებული ცნობით მფლობელობის ცვლილების შესახებ და ინფორმაციას მოგაწვდით თქვენი არჩევანის შესახებ;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაბამის უფლებამოსილ სამართალდამცავ ორგანოებს და/ან სახელმწიფო უწყებებს.

ზემოაღნიშნული მხარეების გარდა, თქვენი თანხმობის გარეშე პერსონალურ მონაცემებს სხვა პირებს არ ვუზიარებთ.

თქვენი უფლებები პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით

თქვენი უფლებების განხორციელების მიზნით თქვენ შეგიძლიათ მოგვმართოთ შემდეგი გზებით:

- აპლიკაციის მეშვეობით;
- ელ-ფოსტით: smarthome@silknet.com.

ამ უფლებების განხორციელება უფასოა. თქვენს მოთხოვნაზე პასუხს კანონით დადგენილ ვადაში მიღებთ. თუ გადაწყვეტთ დაგვიკავშირდეთ ელფოსტით, გთხოვთ, თქვენს მოთხოვნაში მკაფიოდ მიუთითოთ, რომელი ინფორმაციის შეცვლა გსურთ, გსურთ თუ არა თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა ჩვენი მონაცემთა ბაზიდან ან სხვაგვარად გვაცნობოთ, რა ქმედების განხორციელება გსურთ ჩვენი მხრიდან თქვენს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ უსაფრთხოების მიზნით, შესაძლოა მოვითხოვოთ თქვენი პირადობის დადასტურება, სანამ თქვენს მოთხოვნასთან დაკავშირებით დამატებით ქმედებებს განვახორციელებთ.

თქვენ ასევე შეგიძლიათ:

- მოითხოვოთ წვდომა თქვენს მონაცემებზე აპლიკაციის მეშვეობით: My-Setting-Privacy Settings-Personal Data Export;
- მოითხოვოთ მონაცემის კორექტირება:
    1. ანგარიშის მონაცემების შეცვლა (ელფოსტა ან ტელეფონი): "My-Setting-Account and Security-Change your Account"
    2. მომხმარებლის სახელის ან დროის სარტყელის შეცვლა: "My-Personal Information"
- მოითხოვოთ მონაცემის წაშლა აპლიკაციის მეშვეობით: My-Setting-Account and Security-Delete Account"— ანგარიშის წაშლის შემდეგ მონაცემები წაიშლება.
- მოითხოვოთ დროებითი ან მუდმივი შეზღუდვა მონაცემთა დამუშავებაზე აპლიკაციის მეშვეობით: My-FAQ & Feedback, ან ელ -ფოსტით, მისამართზე: smarthome@silknet.com

- მოითხოვოთ მონაცემთა გადაცემა თქვენთვის ან მესამე მხარისთვის, თუ მონაცემების დამუშავება ხდება თქვენი თანხმობის საფუძველზე: აპლიკაციის მეშვეობით: My-FAQ & Feedback, ან ელ - ფოსტით, მისამართზე: smarthome@silknet.com
- უარი თქვათ მონაცემების დამუშავებაზე, თუ მონაცემების დამუშავება ხდება თქვენი თანხმობის საფუძველზე ან ჩვენი ლეგიტიმური ინტერესით.

გაცემული თანხმობის გამოხმობა

თქვენ შეგიძლიათ გამოიხმოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობა შემდეგნაირად:

1. თუ ნებართვა/თანხმობა გაეცით მოწყობილობის სისტემური პარამეტრების მეშვეობით, თქვენ შეგიძლიათ ამავე გზით გამოიხმოთ თანხმობა შემდეგი მონაცემების დამუშავებაზე: ლოკაცია, კამერა, გალერეა, მიკროფონი, Bluetooth, შეტყობინებები და სხვა;
2. არა-სარეკლამო შეტყობინებების მართვა: **"Me > Message Center > Notification Settings";**
3. ანალიზის ფუნქციების მართვა: **"Me > Settings > Privacy Settings";**
4. პერსონალიზაციის ფუქნციის მართვა: **Me > Settings > Privacy Settings > Personalization";**
5. სმარტ მოწყობილობის აპლიკაციიდან განკავშირებისას, თქვენს ჭკვიან მოწყობილობასთან დაკავშირებულ მონაცემებს აღარ დავამუშავებთ;
6. თუ იყენებთ "სცადე ახლავე" რეჟიმს და არ რთავთ კონკრეტულ ლოკაციის პარამეტრებს — მონაცემები არ შეგროვდება;
7. თუ აპლიკაცია რომელიმე მესამე პირის სერვისს დააკავშირე, ამ მონაცემების დამუშავების შეწყვეტისათვის, განაკავშირე მესამე პირის სერვისი აპლიკაციისგან.

თანხმობის გამოხმობის შემდგომ შესაძლოა ვერ ისარგებლო ზოგიერთი პროდუქტით ან სერვისით. თანხმობის გამოხმობა გავლენას არ იქონიებს თანხმობის გამოხმობამდე მონაცემების დამუშავებაზე.

ანგარიშის წაშლა

თქვენ შეგიძლიათ წაშალოთ თქვენი ანგარიში აპლიკაციის მეშვეობით: **"Me > Settings > Account and Security > Delete Account" (Deactivate Account).**

უსაფრთხოების ზომები

თქვენი მონაცემების დასაცავად გამოიყენება შესაბამისი ფიზიკური, ადმინისტრაციული და ტექნიკი ზომები და გამოყენებულია სხვადასხვა უსაფრთხოების სტრატეგია, რათა ეფექტურად შევძლოთ მომხმარებლისა და მოწყობილობის მონაცემთა უსაფრთხოება. **მოწყობილობაზე წვდომისას** გამოიყენება იმგვარი ალგორითმები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა იზოლაციას, წვდომის ავთენტიფიკაციასა და ავტორიზაციის მიღებას. მონაცემთა კომუნიკაცია ხდება უსაფრთხოების ალგორითმების, გადაცემის დაშიფვრის პროტოკოლების და კომერციული დონის ინფორმაციის დინამიკური გასაღებების გამოყენებით დაშიფვრის გზით. მონაცემთა დამუშავებისას ხდება მონაცემთა მკაცრი ფილტრაცია და ვალიდაცია, ასევე მონაცემთა სრული აუდიტი. მონაცემთა შენახვისას მომხმარებლის ყველა კონფიდენციალური ინფორმაცია უსაფრთხოდ დაიშიფრება შესანახად. თუ გაქვთ საფუძველი იფიქროთ, რომ ჩვენთან თქვენი ურთიერთქმედება აღარ არის უსაფრთხო (მაგალითად, თუ გრძნობთ, რომ თქვენს ანგარიშზე უსაფრთხოება

შეიძლება დარღვეულია), დაუყოვნებლივ შეგვატყობინეთ ამის შესახებ ქვემოთ მოცემულ საკონტაქტო დეტალებზე.

მონაცემების შენახვა

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს მხოლოდ იმ ვადით, რაც საჭიროა ამ განაცხადში მითითებული მიზნების მიღწევის მიზნით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც არსებობს კანონისმიერი ვალდებულება, მონაცემების შენახვა მოხდეს უფრო ხანგრძლივი ვადით. შენახვის ვადის განსაზღვრისას ჩვენ ვითვალისწინებთ თქვენს პერსონალურ მონაცემთა მოცულობას, ბუნებას და სენსიტიურობას. შენახვის ვადის ამოწურვის შემდეგ კი თქვენი პერსონალური მონაცემები განადგურდება.

არასრულწლოვანთა მონაცემების დაცვა

ბავშვების კონფიდენციალურობის დაცვა ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს. სერვისები არ არის გამიზნული 18 წლამდე ასაკის პირებისათვის და ასეთ პირებს ვთხოვთ, არ მოგვაწოდონ თავისი პერსონალური მონაცემები. ჩვენ შეგნებულად არ ვაგროვებთ ბავშვის პერსონალურ მონაცემებს მანამ, სანამ არ მივიღებთ ნებართვას ბავშვის მშობლისგან ან კანონიერი მეურვისგან, ან თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი თავისი ნებით არ გაგვიზიარებს არასრულწლოვანთა მონაცემებს. თუ გავიგეთ, რომ შეგნებულად შეგროვდა ბავშვის პერსონალური მონაცემები მშობლის ან კანონიერი მეურვის ნებართვის გარეშე, ჩვენ დაუყოვნებლივ მივიღებთ ზომებს ამ ინფორმაციის წასაშლელად.

ინფორმაცია ჩვენს შესახებ:

კომპანიის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი: სს სილქნეტი, ს/ნ: 204566978;
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქ. №95
ელ-ფოსტა: smarthome@silknet.com